მოდულის დასახელება:

„სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება“

5 საათი

მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები: მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრები.

მოდულის მისაღწევი საბოლოო შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ

მონაწილეები:

- გაეცნობიან 4 ტიპის სამოდელო გაკვეთილს, მათ ძირითად მახასიათებლებს;
- გააცნობიერებენ სამოდელო გაკვეთილის მნიშვნელობას;
- გაეცნობიან სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვის პრინციპებს;
- შეძლებენ სხვადასხვა ტიპის სამოდელო გაკვეთილის გეგმის კორექტირებასა და შეფასებას;
- გაეცნობიან სამოდელო გაკვეთილის შეფასების რუბრიკას და შეძლებენ მის გამოყენებას;
- გაიაზრებენ, რას ნიშნავს კონსტრუქციული უკუკავშირი და როგორ უნდა გამოიყენონ იგი გაკვეთილის შეფასებისას;
- გაეცნობიან სამოდელო გაკვეთილზე დაკვირვების პროცესს და შეფასების ჯგუფის ქცევი ნორმებს.

სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები: სერტიფიკატის მისაღებად მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შეფასებაში არსებული მოთხოვნები: დაესწროს თითოეული მოდულის მინიმუმ 80%-ს და, ამასთან, 100-ქულიანი სისტემის შეფასების შკალაში დააგროვოს მინიმუმ 60 ქულა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის პუნქტები, რომლებსაც შეესაბამება პროგრამის მისაღწევი შედეგები და შინაარსი:

სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება:

- მუხლი 13.2. მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებს შიდა და საგანთაშორის კავშირებს;
- მუხლი 14.3. მასწავლებელი მოიძიებს და პრაქტიკაში ნერგავს სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებს;
- მუხლი 19. 2. მასწავლებელი ეხმარება კოლეგებს ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვაში.